თბილისის ქვეჯგუფში

თბილისის “დინამოს ფეხბურთელებმა პირველ ორ ამხანაგურ მატჩში 4 შესაძლებლიდან მოაგროვეს მხოლოდ ერთი ქულა, ამიტომ მათ შეხვედრას სამხედრო–საჰაერო ძალთა გუნდთან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

თამაში თბილისელთა მძაფრი იერიშებით დაიწყო. მოსკოველთა კართან პირველ წუთებშივე ზედიზედ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. მე–4 წუთზე ნორაკიძემ კუთხური გარტყმით ჩააწოდა ბურთი ზედა კართან. თოდრიამ კარგად ისარგებლა შექმნილი არეულობით და ძლიერი გარტყმით გახსნა ანგარიში.

დინამოელები კიდევ კარგა ხანს უტევდნენ მოწინააღმდეგეს, თავდამსხმელებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც ჰქონდათ გადამწყვეტი დარტყმისათვის, მაგრამ სტუმრების დაცვა და მეკარე პირაევი კარგად იცავდნენ კარს.

ვვს–ის ფეხბურთელებმა მოიგერიეს რა თბილისელთა პირველი იერიშები, შეტევაზე გადავიდნენ.

თამაშის მეორე ნახევრის მე–5 წუთზე ანგარიში უკვე 2:1 იყო სტუმრების სასარგებლოდ (ჯერ ანისიმოვმა თავით გაიტანა ბურთი კუთხური მიწოდებიდან, ხოლო შემდეგ ვოლოდინმა კარგად გამოიყენა თბილისელთა დაცვის უხეში შეცდომა).

ამის შემდეგ დინამოელებმა საგრძნობლად გააუარესეს თამაში. ნახევარმცველებმა დაკარგეს კავშირი თავდამსხმელებთან, რომლებიც თავის მხრივ კოლექტიური თამაშის ნაცვლად ცალკეული გარღვევებით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას.

30–ე წუთზე ბობროვი შეუჩერებელი დრიბლინგით გაიჭრა დინამოელთა კართან და ზუსტი დარტყმით მესამე ბურთი გაიტანა.

მატჩი დამთავრდა მოსკოვის სამხედრო–საჰაერო ძალთა გუნდის სასარგებლოდ ანგარიშით 3:1.

მესამე დამარცხება ანგარიშით 3:0 თბილისელებმა იწვნიეს მოსკოვის ნაკრები გუნდისაგან (I შემადგენლობა).

ამრიგად თბილისის “დინამომ” თავის ქვეჯგუფში 4 შეხვედრიდან წააგო სამი, ხოლო ერთი თამაში (მოსკოვის II ნაკრებთან) ფრედ დაამთავრა – 0:0.

8 შესაძლებლიდან მხოლოდ 1 ქულა – ბურთების შეფარდებით 1:8?! – ასეთია თბილისელთა შედეგები ამხანაგურ შეხვედრებში.

30 აპრილი, 1952 წ.